



პოლიტიკური პოლარიზაციის უკიდურესად მაღალი დონე საქართველოში და მისი გავლენა დემოკრატიაზე

კვლევისა და ქართულ სამოქალაქო საზოგადოებასთან/პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციების შედეგები

პრობლემა

საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პოლარიზებული დემოკრატიაა ევროპაში. ევროკავშირი, ევროპის საბჭო და ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი - პოლარიზაციას ასახელებენ, როგორც მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქართული დემოკრატის კონსოლიდაციისათვის.¹ მსოფლიო ბანკმა პოლარიზაცია სერიოზულ სტრუქტურულ გამოწვევად შეაფასა.² თუმცა, ევროპაში არსებული მემარჯვენეებისა და მემარცხენეების დაპირისპირებისაგან განსხვავებით, პოლარიზაცია საქართველოში პოლიტიკურ, და არა იდეოლოგიურ, ხასიათს ატარებს.

ქართული პოლიტიკისთვის პოლარიზაცია არ არის ახალი თვისება. საქართველომ გადაიტანა პოლარიზაციის რამდენიმე ტალღა, საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული გარდამავალ დემოკრატიად ყოფნის ორი ათწლეულის განმავლობაში.

ამჟამად ძირითადი დაპირისპირება მიმდინარეობს ორ მთავარ პოლიტიკურ პარტიას - მმართველ „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, რომლებსაც უჭირავთ ცენტრალური ადგილი პოლიტიკურ ძალებს შორის თუმცა ერთმანეთთან ამკარა კონფრონტაციაში

იმყოფებიან. „ლეიბორისტული პარტიისა“ და ახლად შექმნილი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გარდა, ქართული პარტიების უმეტესობა საკუთარ თავს პოლიტიკური სპექტრის ცენტრში აყენებს. მათი უმრავლესობა საზოგადოებას ერთმანეთის მსგავს პლატფორმებსა და მესიჯებს სთავაზობს, საუბრობენ საბაზრო ეკონომიკური რეფორმების სასარგებლოდ და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას მიიჩნევენ.

უკიდურეს პოლიტიკურ პოლარიზაციას მრავალი უარყოფითი შედეგი ახლავს; ის წარმოშობს „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“ ლოგიკას და იწვევს პოლიტიკის შექმნის პროცესის უფუნქციობას, პოლიტიკურ პატრონაჟს და ფუნდამენტური კანონმდებლობისა და წესების რეგულარულ ცვლილებებს (საქართველოში, თითქმის ყველა არჩევნების წინ ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებას/ცვლილების მცდელობას, ხოლო კონსტიტუციამ დამოუკიდებლობის მოპოვების (1991 წელი) შემდეგ 6-ჯერ განიცადა არსებითი ცვლილება). საქართველოში, წლებია, პოლიტიკური დებატები გამოირჩევა აგრესიული პიროვნული დაპირისპირებით, რაც იწვევს მნიშვნელოვანი საკითხებიდან ყურადღების გადატანას. რიგ შემთხვევებში, ეს აგრესია ქუჩაში დაპირისპირებებშიც გადაიზარდა.

1 მაგალითად, იხილეთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია „დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება საქართველოში“ (2014) <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=21275&lang=en>

2 მსოფლიო ბანკის ჯგუფი. პოლარიზაცია და პოპულიზმი, ევროპა და ცენტრალური აზია, ეკონომიკური ხედვა, ნოემბერი, 2016. <http://pubdocs.worldbank.org/en/278581479765753603/ECA-Economic-Update-Nov-2016-Eng.pdf>



პოლარიზაციის ხუთი საფრთხე



შიშის პოლიტიკა

ოპონიტიკური შეზღუდვები საფრთხედ არის წარმოდგენილი. მენტალიტეტს „მკენ მათ წინააღმდეგ“ განმტკიცებს სოციალური მედიაც.



პოლიტიკური ეთიკის დაბალი ხარისხი

როცა ერთი მხარე „პოპოლიტიკა“ მათ შესაჩერებლად ყველა გზა გამოიყენებენ. შედეგად დემოკრატია და ადამიანის უფლებები უზღუდვად უფიცილია.



უფუნქციო პოლიტიკა

ძალაუფლების ხელიდან ხელში გადასვლასთან ერთად საერთო პოლიტიკა განსხვავებულ აზრთა დაბირბინებით უზვევა. ამ დროს ოპონიტიკა გამოიყენებს ყველა შესაძლო ტაქტიკას პოლიტიკის წინააღმდეგ. დეზატენი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი იქცევა პოლიტიკის შეზღუდვის და გაუქმების მომად.



პოლიტიკური პატრონაჟი

საერთო სამსახურში დანიშნულები ეფუძნება არა დამსახურების, არამედ პოლიტიკას. რაც იწვევს საერთო მმართველობისა და დემოკრატიული ხალხის სისუსტეს.



წესების ცვლილებები

ძირითადი წესები, კონსტიტუციაც კი რეგულარულად იცვლება ინტერესების მიხედვითა და ოპონენტების წინააღმდეგ, რაც ქმნის არასტაბილურ გარემოს. ოპონენტები იდეებებთან, პოლიტიკაზე დედა კრიზისული ხელისუფლება.

ეფუმნება ანრას კოროსენის სტატისა "პოლიტიკური პოლარიზაცია და მისი შედეგები დემოკრატიის ანგარიშვალდებულებაზე"

პოლარიზაცია ხელს უწყობს მზარდ დელეგატიმაციას, რომელიც ქართულ საზოგადოებას ორ დაპირისპირებულ ბანაკად ჰყოფს. მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე ბანაკი ბოროტებად აღიქმება, მის შესაჩერებლად, ნებისმიერი ქმედება გამართლებულად ითვლება, მათ შორის, ფარული მიყურადება/თვალთვალი თუ ძალადობრივი შეტევები ოპონენტების წინააღმდეგ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მსგავსი ფაქტები მუდმივად მეორდებოდა სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში, შედეგად, მივიღეთ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უზღუდვად და ინსტრუმენტალიზება (*იხილეთ ინფოგრაფიკა „პოლიტიკური პოლარიზაციის საფრთხეები“*).

დემოკრატიაში პოლარიზაცია შესაძლოა მოხდეს **საარჩევნო სისტემის, მმართველობის ფორმის თუ პარტიული ინსტიტუციონალიზაციის ხარისხისგან დამოუკიდებლადაც**. თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, საქართველოში მაჟორიტარულმა საარჩევნო სისტემამ (რაც საპარლამენტო ადგილების რაოდენობის ნახევარს გულისხმობს) ხელი შეუწყო ორი დაპირისპირებული ბანაკის შექმნას და მათ შორის შუალედური სივრცის სიმცირეს.³

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, საქართველოში უკიდურესი პოლარიზაცია იყო მმართველობის ფორმის შედეგი, რომელიც, 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე, გამოიხატებოდა ფართო ძალაუფლებით აღჭურვილ, ხალხის მიერ არჩეულ სახელმწიფო მეთაურში (პრეზიდენტი), რაც მმართველობის სხვა ფორმებთან შედარებით, ყველაზე მეტად უწყობს ხელს „გამარჯვებული იღებს“

ყველაფერს“ მენტალობის დამკვიდრებას.⁴ საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში პირველსავე ტურში ერთ-ერთი კანდიდატის დიდი უპირატესობით გამარჯვებით მთავრდებოდა (87.6% - 1991 წელს; 77% - 1995 წელს, 82% - 2000 წელს, 96% - 2004 წელს, 54.8% - 2008 წელს და 62.1% - 2013 წელს).⁵ ასეთი მანდატით შეგულიანებული პრეზიდენტები არაა ადებდნენ ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს. საპარლამენტო უმრავლესობითა და აღმასრულებელი ძალაუფლებით ზურგამაგრებული ლიდერები მიდრეკილი იყვნენ, ერთპიროვნულად გაეტარებინათ „პერსონალური დღის წესრიგი“.

პოლარიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ასევე წარმოადგენს საზოგადოებაში ნდობის ნაკლებობა⁶ მსოფლიო ღირებულებების კვლევის⁷ ანგარიშის მიხედვით, რომელიც საქართველოში 2014 წელს ჩატარდა, მოსახლეობის 9%-იც არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ „ყველა ადამიანი შეიძლება იყოს სანდო“. ქვეყანაში საზოგადოებრივი ნდობის შემცირება პირდაპირპროპორციულად აისახება პოლარიზაციის ხარისხის ზრდაზე.⁸ საზოგადოების ნდობის დაბალი ხარისხი მთავარი პოლიტიკური ინსტიტუციების მიმართ ასევე ხელს უწყობს პოლარიზაციის გამწვავებას.⁹

სოციალური უთანასწორობა და ბრძოლა მწირი ეკონომიკური რესურსებისათვის ასევე

4 Elgie, R. (2008): "The Perils of Semi-presidentialism. Are They Exaggerated?", *Democratisation* 15(1): 49-66.
5 ასევე, შევარდნაძე პარლამენტის თავმჯდომარედ 1992 წელს არჩეული იყო ხმების 96%-ით, რაც მაშინ სახელმწიფო მეთაურის პოზიციის ეკვივალენტი იყო.
6 Grechyna, D. (2016): "On the Determinants of Political Polarization", *Economic Letters* 144 (July): 10-14
7 WVS (2016): "Self-reported trust in others". Available at: <http://www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWVL.jsp>
8 ნდობის დონე 1998 და 2009 წლებში იყო დაახლოებით 17.6% (WVS, 2014).
9 NDI-ის კვლევა: დაბალი ნდობა პარლამენტისა და პოლიტიკოსების მიმართ; მოსახლეობის უმრავლესობა პოლიტიკურად გადაუწყვეტელია <https://www.ndi.org/March-2016-Public-Opinion-Political-Press-Release-Georgia>

3 Berglund, C. (2013): "Georgia", in S. Berglund, J. Ekman, K. Deegan-Krause & T. Knutsen (eds.) *The Handbook of Political Change in Eastern Europe*. Cheltenham: Edward Elgar; and Casal Bértoa, F. (2016): "Effective Number of Parties" <http://whogoverns.eu/party-systems/effective-number-of-parties/>

სახელდება საქართველოში პოლარიზაციის ხელშემწყობ მთავარ ფაქტორებს შორის. ეკონომიკური უთანასწორობა საქართველოში დამოუკიდებლობის პერიოდიდანვე პრობლემას წარმოადგენდა. მსოფლიო ბანკის „მსოფლიო განვითარების მაჩვენებლებით“¹⁰ საქართველოს, მაკედონიის შემდეგ, ეკონომიკური უთანასწორობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ევროპაში. აღსანიშნავია რომ, სოციალური უთანასწორობა კვლავ აღმავალ ტენდენციად რჩება საქართველოში.

პოლიტიკური პოლარიზაციის სხვა წყაროებს წარმოადგენს:

საქართველოს უახლეს ისტორიაში ადამიანის უფლებათა დარღვევები, რომლებზეც არ მომხდარა სათანადო რეაგირება (მაგ. „უახლესი წარსული [ენმ-ს მმართველობის 9 წელი] კანონის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებული განხილვის ნაცვლად, წარმოადგენს, ერთი მხრივ, დემონიზაციის და, მეორე მხრივ, სარკაზმის საგანს“);¹¹ უკიდურესად ემოციური პოლიტიკური კულტურა („რაციონალიზმი, ქართველი ამომრჩევლებისთვის, ზოგადად, არ მიიჩნევა პოლიტიკოსის ღირსებად“¹²);

კულტურული პლურალიზმის სიმწირე, მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის და განსხვავებული აზრებისადმი ტოლერანტობის ნაკლებობა; ამასთანავე, **პოლიტიკური პარტიების** სისუსტე ძლიერი ლიდერების დომინირებით, რომლებიც საარჩევნო ლოკომოტივებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე საზოგადოებაში არსებული იდეოლოგიური განსხვავების ამსახველ ან კონკრეტული სოციალური ჯგუფებისადმი პასუხისმგებლობით განმსჭვალულ აქტორებს; აგრეთვე, მყიფე შიდა დემოკრატიული სტრუქტურები და პროცესები.¹³

Democracy Reporting International-ისა და საიას მიერ პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრივი აქტორების (ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები) საჯარო გამოსვლებზე წარმოებულმა მედია მონიტორინგმა 2016 წლის საპარლამენტო

არჩევნების წინა პერიოდში, **უხვად გამოავლინა უკიდურესი პოლარიზაციის ხელშემწყობი გამონათქვამები** (განცხადებების უმეტესობა, რომელთა შეფასება მოხდა მედიამონიტორინგის ფარგლებში, შეიცავდა მოწინააღმდეგე პარტიის დემონიზების/უკიდურესი დამცირების მესიჯებს). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „ქართულმა ოცნებამ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წინასაარჩევნოდ განავითარეს ე.წ. „ანტაგონისტური სიმბიოზი“ და გამიზნულად ახორციელებდნენ კონფრონტაციის სტრატეგიას პოლიტიკურ ბრძოლის ველზე დომინირებისათვის. ამასთან, ისინი ხელს უშლიან ნებისმიერი ალტერნატიული პოლიტიკური ძალის წარმოჩინებას. პოლარიზაცია გამოიყენება არა მხოლოდ პარტიებს შორის შეჯიბრის დელეგატიმაციისათვის, არამედ საზოგადოებრივი ყურადღების გადასატანად რეალურად მნიშვნელოვანი საკითხებიდანაც.

აღსანიშნავია, რომ ქართული მედია აღიქმება, როგორც პოლარიზებული¹⁴ და ხშირად - ინსტრუმენტალიზებული კონკრეტული პოლიტიკური ინტერესის სასარგებლოდ.¹⁵ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე საუბრობენ მათი ინსტრუმენტალიზაციის მცდელობებზე.

რეკომენდაციები

- ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით (ეხება ეს წარსულ თუ შედარებით ახალ დარღვევებს) პოლიტიზირებული დისკუსიები უნდა ჩაანაცვლოს კანონის უზენაესობის პრინციპსა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულმა მიდგომებმა .
- უნდა შემუშავდეს და გატარდეს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებას, არამედ შეამცირებს საქართველოში ეკონომიკური უთანასწორობის დონესაც.

10 WDI (2016). “GINI Index (World Bank estimate)”. Available at: <http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=world-development-indicators#>

11 DRI და საიას პოლიტიკური პოლარიზაციის შესახებ სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, 18-19 ივლისი, თბილისი, საქართველო.

12 იხილეთ 11

13 ქართული პარტიული სისტემის შედარებითი სიმარტივე იმით აიხსნება, რომ პოსტკომუნისტური ისტორია ქვეყნის მთავრობისა და პარტიული პოლიტიკისა შეგვიძლია მოვიშველიოთ პარტიების სახელწოდებათა მდიდრული ეპითეტების ჩათვლით, კერძოდ, ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი და მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო.

14 ეუთოს განცხადება საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, 8 ოქტომბერი, 2016,

<http://www.osce.org/odihr/elections/georgia/273221?download=true>
15 ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული კვლევა: 2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მედიამონიტორინგის შედეგები: <http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2016/12/16/eu-undp-summarise-parliamentary-election-media-monitoring-present-recommendations-to-georgian-media.html>; აგრეთვე, დავით უსუფაშვილის ინტერვიუ გადაცემა „არჩევანში“, 16 ნოემბერი, 2016 <http://rustavi2.com/ka/video/19979?v=2>

- უნდა გაგრძელდეს მკაცრი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარება კანონის უზენაესობისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპისადმი სათანადო პატივისცემით.
- უფრო მეტი ფოკუსირება უნდა მოხდეს დამოუკიდებელი ინსტიტუტების მშენებლობა/განვითარებასა და სასამართლო რეფორმებზე. ასეთი ინსტიტუტების დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა სათანადოდ უნდა იყოს პატივცემული.
- საკონსტიტუციო და ძირითადი საკანონმდებლო რეფორმები უნდა ეფუძნებოდეს კონსენსუსს; მაგალითად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმა უნდა იყოს რაც შეიძლება ინკლუზიური და განხორციელდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ფართო ჩართულობით. რეფორმას სათანადო დრო უნდა დაეთმოს, რათა შესაძლებელი იყოს რეალური დისკუსიების წარმართვა, ასევე მნიშვნელოვანი იქნება ცვლილებების შემუშავების პროცესში ინტერდისციპლინური საექსპერტო აზრის ჩართულობა და მყარი (გამძლე/გრძელვადიანი) კომპრომისების მიღწევა. აგრეთვე, რეფორმა უნდა განხორციელდეს დისციპლინათაშორისი პერსპექტივიდან, უნდა მოიძებნოს გზა მტკიცე კომპრომისების მისაღწევად.
- პოლიტიკური პარტიების შიდა დემოკრატიული მექანიზმები უნდა გაძლიერდეს. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გამოკვეთონ საარჩევნო კამპანიის საკითხები და არ ჩაერთონ პიროვნულ დაპირისპირებებში. მედიამ ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკური პარტიების თანაბარ გაშუქებას.
- უნდა გააქტიურდეს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოება საჯარო პოლიტიკის, პლურალიზმისა და ტოლერანტობის მიმართულებით.

ანგარიში ასევე მოიცავს დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რეკომენდაციებს:

- მკვლევართა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაზე გადასვლას, რაც გაზრდის წარმომადგენლობის დონეს იმ მხრივ, რომ არა მხოლოდ მეტ პარტიას მისცემს პარლამენტში შესვლის შესაძლებლობას, არამედ ასევე შეამცირებს ე.წ. „დაკარგული ხმების რაოდენობას“. აღნიშნული, თავიდან აგვაცილებს დომინანტურ პარტიულ სისტემას, რომელიც საქართველოს 1991 წლიდან ახასიათებს და ხელს შეუწყობს ერთი პარტიის დომინანტობის ხარისხის შემცირებას, ისევე, როგორც ქვეყნის პოლიტიკური სივრცის ბიპოლარიზაციას მხოლოდ ორი პარტიის/ბლოკის მიმართულებით (ერთი მხრივ, კონსტიტუციური უმრავლესობის მფლობელი მთავრობა, ხოლო მეორე მხრივ - „დისკრიმინირებული“ ოპოზიცია), რადგან მოცემული სისტემა მოითხოვს პარტიებისგან ძალების გაერთიანებას მთავრობის ფორმირებისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კონსტიტუციური რეფორმების გასატარებლად.¹⁶
- მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ნახევრად-საპრეზიდენტო მოდელის ცვლილება საპარლამენტო მოდელით, გამოიწვევს პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციურ განვითარებას.¹⁷ კვალიფიციური უმრავლესობის მიერ სახელმწიფოს მეთაურის არჩევით, პარტიები ვალდებულნი იქნებიან, იმუშაონ კონსენსუსის მისაღწევად.¹⁸

მეთოდოლოგია

ანგარიში წარმოადგენს პროექტის - „პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერება საქართველოში - I ფაზა“ - პირველადი

16 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არის პროპორციული საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ერთ-ერთი მთავარი ადვოკატი და მომხრე.

17 Casal Bértoa, F. „პოლიტიკის პოლარიზაცია და დემოკრატიის მომავალი: საქართველო შედარებით პერსპექტივაში“. გამოქვეყნდებ 2017 წლის თებერვალში.

18 არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არ ემხრობა პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესს და ახლადმექმნილ საკონსტიტუციო კომისიაში ადვოკატირებას უწყვეს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის უცვლელად დატოვებას.

მიგნებების შეჯამებას, რომელიც განხორციელდა Democracy Reporting International-ის და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართულ საზოგადოებაში პოლარიზების პრობლემის შესახებ დისკუსიის დაწყებას, მისი გამომწვევი მიზეზების, შედეგების და დაძლევის გზების გააზრებას. ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები დაფუძნებულია მედიამონიტორინგის შედეგებზე, პოლარიზაციის სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტების კვლევასა და ქართველი ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ხედვებზე.

Democracy Reporting International-მა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პროექტის ფარგლებში, პოლიტიკური პოლარიზაციის გამოსაკვლევად, ჩაატარა ოთხი საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში 2016 წლის ივლისიდან დეკემბრამდე. შეხვედრებზე მსჯელობა გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: *რა უწყობს ხელს პოლარიზაციას და რა გავლენას ახდენს ის (მოკლე ან გრძელვადიან პერსპექტივაში) საქართველოში დემოკრატიაზე? არის თუ არა პოლარიზაცია სერიოზული პრობლემა? რა*

პოტენციური გამოსავალი არსებობს პოლარიზაციიდან? რა როლი აქვთ სამოქალაქო საზოგადოებასა და ინსტიტუტებს პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში? შეუძლიათ თუ არა პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას, ხელი შეუწყონ პოლიტიკურ კონსენსუსს საზოგადოებაში?

აღნიშნულ შეხვედრებში 80-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები და აქტივისტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები. პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდა კვლევები საქართველოში არსებული პოლიტიკური პოლარიზების შესახებ აქამდე ჩატარებული კვლევების თაობაზე, ასევე, არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ინსტიტუციური კომპონენტების შესაფასებლად - პოლარიზების თვალსაზრისით და შედარებითი ანალიზი (პოლარიზების პრობლემა ევროპის სხვა სახელმწიფოებში). ანგარიში აგრეთვე მოიცავს რეკომენდაციებს.

სრული ანგარიში გამოქვეყნდება Democracy Reporting International-ის და საიას მიერ 2017 წლის თებერვალში.

DEMOCRACY REPORTING INTERNATIONAL

Democracy Reporting International (DRI) არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა ბერლინში, გერმანიაში. ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა პოლიტიკურ მონაწილეობას, სახელმწიფო უწყებების პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას მთელ მსოფლიოში. Democracy Reporting International მხარს უჭერს ადგილობრივი გზების მოძიებას უნივერსალური უფლებების დაცვისა და მოქალაქეთა მიერ თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობისთვის, რამდენადაც ეს გამოხატულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.

<http://www.democracy-reporting.org>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის არასამთავრობო, წევრობაზე დაფუძნებული, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვასა და მხარდაჭერას, ასევე, ადამიანის უფლებების შესახებ სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში. ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოებში საია ეწევა სტრატეგიულ სამართალწარმოებას, უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ კონტულტაციებსა და სამართლებრივ დახმარებას.

<http://gylla.ge>

ანგარიში მომზადდა პროექტის - „*პოლიტიკური კლურალიზმის გაძლიერება საქართველოში - I ფაზა*“ - ფარგლებში, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან მხოლოდ Democracy Reporting International და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. მასალებში წარმოდგენილი შეფასებები და მოსაზრებები არ გამოხატავს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.

